სამოქალაქო

ეთიკა

1991
თბილისის საპატრიარქო აკადემია
30
წლის

ГИЗО ГОРГИЛАДЗЕ. თხილვანა

პროექტზე მუშაობდნენ:

ლელი ბლაგონრავოვა
ფოტოგრაფი, ფოტორედაქტორი

ნათია მსხილაძე
ტექსტის რედაქტორი

მაკა მაღლაკელიძე,
გიორგი კოკალეიშვილი
ორგანიზატორები

4
ისწავლე, რომ ემსახურო, იცხოვრე, რომ გიყვარდეს!
ირინე შოთაძე

9
სოფლის ექიმი
პროექტის შესახებ

10
სხალთა
ნანუკა ყაჭიური
ელენე გუბელაძე

14
ღორჯომი
ნინო გაგუა
მარიამ მამისაშვილი

20
ხულო
მარიამ ჯორბენაძე
ირინკა ისიანი

24
ინტერვიუ
ლელი ბლაგონრავოვა

ირინე **შოთაძე**

პეტრე შოთაძის სახელობის
თბილისის სამედიცინო
აკადემიის რექტორი

ისწავლე, რომ **ემსახურო**, იცხოვრე, რომ **გიყვარდეს!**

თბილისის სამედიცინო აკადემია, რომელიც 1992 წელს ჩემმა მამამ, პროფესორმა პეტრე შოთაძემ ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კოლეგების მხარდაჭერით დააარსა 30 წლის იუბილეს აღნიშნავს. მამის მთელი ცხოვრება საექიმო და სამეცნიერო საქმიანობას და მისი პროფესიის სიყვარულს უკავშირდება.

სწორედ 30 წლის წინ მის მიერ მიღებული ინოვაციური და იმ დროისთვის პროგრესული გადაწყვეტილების შედეგია, რომ ჩვენ მაქსიმალურად ვუახლოვდებით აკადემიის მისიას - ვიყოთ სტუდენტზე ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც სტუდენტები ინოვაციური მიდგომით და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნის მიღებით მოემსახურებიან ხალხს და ჯანდაცვის, მედიცინის სფეროს განვითარებას. ჩვენი მთავარი ამოცანაა, დაარსებიდან დღემდე, ფუნდამენტური ღირებულებების შენარჩუნება, ხარისხის კულტურის გაუმჯობესება და განვითარება.

აკადემიის განვითარების პირველ წლებს ემთხვევა ჩემს ოჯახთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრების პერიოდი, თუმცა, მამის გარდაცვალებიდან წლების შემდგომ გადავწყვიტეთ საქართველოში დაბრუნება და მის მიერ დაწყებული საგანმანათლებლო საქმის თავისი ტრადიციებითა და მიდგომებით გაგრძელება. აკადემიის განახლებული განვითარების გეგმასა და მის დანერგვაზე მუშაობის პარალელურად პირველ რიგში, საერთაშორისო სტანდარტების დასაკმაყოფილებლად მზადება დავიწყეთ. ინსტიტუციური განვითარების კოლექტიურმა სურვილმა ადმინისტრაცია, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები გაგვაერთიანა და გაგვამთლიანა, რამაც წინსვლის თამასა კიდევ უფრო მაღლა ასწია. რა თქმა უნდა, ჩვენი წარმატებისთვის დიდი მადლობა მსურს გადავუხადო იმ ადამიანებსაც, რომლებიც დაარსების დღიდან მამასთან ერთად თანამონაწილეობდნენ აკადემიის განვითარებაში.

გვჯეროდა აკადემიის წინსვლის და ყველა ჩვენგანს გააზრებული გვქონდა, რომ საერთაშორისო სტანდარტებთან მისაახლოებლად მრავალი გამოწვევის მიღება და გადაჭრა გახდებოდა აუცილებელი. ჩემი ოჯახის, მეუღლის, თანამოაზრეებისა და კოლეგების მხარდაჭერით შევძელით დაგვეწყო ინოვაციების დანერგვა, საერთაშორისო კარგი გამოცდილების გაზიარება და სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების ადაპტირება.

პროცესმა მოიტანა ახალი კადრების მოზიდვის, სასწავლო ინფრასტრუქტურის განახლების, ლაბორატო-

> ჩვენი მთავარი ამოცანაა, დაარსებიდან დღემდე, ფუნდამენტური ღირებულებების შენარჩუნება, ხარისხის კულტურის გაუმჯობესება და განვითარება.

რიების აღჭურვისა და კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის შექმნის საჭიროება. ყველა ერთად კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ინოვაციებისა და პროგრესისკენ მისწრაფება კონკრეტული ვალდებულებების შესრულებას მოითხოვს, რაც თავის მხრივ, გაახლოებს საერთაშორისო სტანდარტებთან და აადვილებს საუკეთესო პრაქტიკის რეალიზებას. ერთიანი ძალისხმევით 2018 წელს აკადემიამ ავტორიზაცია, განახლებული სტანდარტების შესაბამისად, წარმატებით გაიარა. ახალმა გამოწვევებმაც არ დააყოვნა და 2020 წელს, განახლებული სტანდარტებით, საგანმანათლებლო პროგრამების შვიდ წლიანი აკრედიტაციაც მოიპოვა, რომელსაც ჯანმ-

> მჯერა, რომ წარმატებისკენ სვლას ისევ სწრაფი ტემპით გავაგრძელებთ და კიდევ ბევრი ამბავი გვექნება აუდიტორიისთვის გასაზიარებელი.

რთელობის მსოფლიო ფედერაციის ექსპერტი ხელმძღვანელობდა (WFME).

ჩვენი პროგრესი და წინსვლა ერთიანი და დაუღალავი შრომის შედეგია და დღეისთვის ორ ათეულზე მეტ უცხოურ უნივერსიტეტთან ვპარტნიორობთ. პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიამ მის პარტნიორ საერთაშორისო უნივერსიტეტებთან ერთად შექმნა მიზიდულობის მრავალფეროვანი ცენტრები, შესაბამისად, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ სწავლების ერთი სემესტრი ესპანეთის, იტალიის, ბელგიის, თურქეთის, ლიეტუვას, ლატვიის, პოლონეთის, სლოვაკეთისა და ჩეხეთის რესპუბლიკის წამყვან სამედიცინო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ფარგლებში გაიარონ.

2020 წელს „ერასმუს +“ -ის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ინსტიტუციური თანამშრომლობის საგრანტო კონკურსის ფარგლებში გავიმარჯვეთ. პროექტის კონსორციუმს სათავეში თბილისის სამედიცინო აკადემია ჩაუდგა, რომელმაც ცხრა უნივერსიტეტი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან, ევროკავშირიდან და ცხადია საქართველოდან გააერთიანა. პროექტი სამედიცინო განათლებაში ინოვაციების დანერგვას, გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობასა და თანამედროვე მიდგომებით კლინიკური ხაზის გაძლიერებას გულისხმობს.

წელს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია დაარსებიდან 30 წლის იუბილეს 3000-მდე კურსდამთავრებულით, სწავლების თანამედროვე მიდგომებითა და ახალი კლინიკის მშენებლობით ხვდება. აკადემიის დაარსებიდან 30 წლიანი ისტორიის თავზე კლინიკის ასაშენებლად თბილისში ტერიტორია შევიძინეთ. მალე დავიწყებთ კლინიკის მშენებლობას და სტუდენტებს მივცემთ პრაქტიკის აკადემიის კლინიკაშივე გავლის უნიკალურ შესაძლებლობას.

ეფექტური კომუნიკაცია და საკითხებისადმი ტრანსდისციპლინური მიდგომა ექიმებისთვის საკვანძოა. ჩვენ ხელს ვუწყობთ სწავლისთვის საჭირო თანამედროვე ეკოსისტემისა და ხელსაყრელი გარემოს შექმნას. რუსთაველის ფონდის მხარდაჭერით რამდენიმე წელია ვახორციელებთ პროექტს „მედიცინა და ხელოვნება“, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდებში მეცნიერების პოპულარიზაციას. აკადემია სტუდენტზე ორიენტირებული, ინდივიდუალური მიდგომებითა და არასტანდარტული გარემოთი საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში აუდიტორიას ახალ პროექტს „სოფლის ექიმის ექვს დღეს“ წარუდგენს, სადაც მომავალი ექიმები სხალთაში, დაბა ხულოსა და ღორჯომში სოფლის ექიმების ცხოვრებას ფოტოგრაფიით უამბობენ.

სიმართლე გითხრათ, როდესაც ამ პროექტს ვიწყებდით პარალელურად ჩემს გონებაში კადრებად გადიოდა მამას მიერ სოფელ ჩხარში თბილისიდან წამყვანი ექიმების ჩაყვანის ამბავი. იმ დროს განცდილი ემოცია მიახლდებოდა და ვიცოდი, რამდენად დიდ საქმეს გავაკეთებდით პროექტის იდეის ავტორთან ერთად. მჯერა, რომ წარმატებისკენ სვლას ისევ სწრაფი ტემპით გავაგრძელებთ და კიდევ ბევრი ამბავი გვექნება აუდიტორიისთვის გასაზიარებელი.

სოფლის ექიმი

პროექტის შესახებ

გვაძლევს თუ არა მედიცინისა და ხელოვნების თანხვედრა კომპლექსური საკითხების გაგების საშუალებას, როგორიცაა სამედიცინო პროფესიონალიზმი? თბილისის სამედიცინო აკადემიამ (თსა) ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად ახალი, სრულიად განსხვავებული, ტრანსდისციპლინური, სტუდენტური ფოტოპროექტი „სოფლის ექიმის ექვსი დღე“ განახორციელა.

პროექტის ფარგლებში ზემო აჭარაში ორგანიზებული ექსპედიციის მონაწილე თსა-ს ექვსი სტუდენტი ერთი კვირის განმავლობაში სხალთაში, ღორჯომში და დაბა ხულოში სოფლის ექიმების ყოველდღიურობასა და სამუშაო პროცესს აკვირდებოდა და ფოტოკამერით აღბეჭდავდა.

ამ ინიციატივის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ მომავალ ექიმებს შესაძლებლობა ჰქონდათ სოფლის ექიმის შრომა გვერდიდან დაენახათ, წარმოეჩინათ მათი როლი და ფირზე აღებეჭდათ სამუშაო პროცესი. პროექტი, რომელიც აკადემიის ინსტიტუციურ კულტურას და მისიას ეხმიანება, მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, აამაღლოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ექიმების ცნობადობა და მეორე მხრივ ხელი შეუწყოს სოფლებში ახალგაზრდა ექიმების დასაქმების მოტივაციას.

ფოტოპროექტის განხორციელების პირველ ეტაპზე სტუდენტებმა ისწავლეს ფოტოგრაფიის საფუძვლები, ორთვიანი მოსამზადებელი ეტაპი ფოტოგრაფთან და პროექტის ავტორთან, ლელი ბლაგონრავოვასთან ერთად გაიარეს და ასევე, ამბის თხრობის, წერის ტექნიკასაც დაეუფლნენ.

სხალთა

ნანუკა ყაჭიური
ელენე გუბელაძე

ედო ექიმი

ზემო აჭარაში, მთებში და ნისლში გახვეულ სოფელ სხალთაში მცხოვრებნი, სტუმართმოყვარე და ტრადიციების დამცველნი არიან. სხალთაში ორი აღმსარებლობის ადამიანები – ქართველი მუსლიმები და მართლმადიდებელი ქრისტიანები ცხოვრობენ. სხალთის ხეობის ბუნებას ოქროს ხანაში, თამარის მეფობის დროს აშენებული სხალთის ეკლესია ამშვენებს. აქ, სოფლის ექიმის სიყვარული ისეთივე თვალში საცემია, როგორც ხეობის თვალწარმტაცი ბუნება.



> ედო ექიმის სამუშაო ოთახში ოჯახური აურა ტრიალებდა. ის და მისი მეუღლე საქმეებს ინაწილებდნენ, რომ ყველაფერი მოესწროთ.

სოფელში არსებული ამბულატორიის რეალობა სრულიად განსხვავებული აღმოჩნდა. ჩვენდა გასაკვირად, ერთი შეხედვით მიტოვებული შენობა სწორედ ის ამბულატორია აღმოჩნდა, სადაც პაციენტებს მკურნალობდნენ. ეს შენობა სამ სრულებით განსხვავებულ ნაწილად იყოფოდა: ბაღი, ამბულატორია და თვითონ ექიმების საცხოვრებელი. ჩამტვრეული ხის ფანჯრები, სადაც პოლიეთილენის პარკი იყო აფარებული, საავადმყოფოს გაუქმებულ იმ პუნქტს წარმოადგენდა, რომელიც ოდესღაც პედიატრიული განყოფილება იყო.

ედო ექიმის სამუშაო ოთახში ოჯახური აურა ტრიალებდა. ის და მისი მეუღლე საქმეებს ინაწილებდნენ, რომ ყველაფერი მოესწროთ. უმეტესწილად ედო ექიმი პაციენტებს ტელეფონზე ესაუბრებოდა, ხოლო მისი მეუღლე საბუთებს ავსებდა. პაციენტები ასაკისა და დიაგნოზის სხვაობით ერთმანეთს ანაცვლებდნენ, ტელეფონის ზარი კი არ ჩერდებოდა. ჩვენთვის კიდევ ერთი აღმოჩენა ამბულატორიაში ტელემედიცინის აპარატი იყო. მისი მეშვეობით პაციენტებს საშუალება ჰქონდათ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით კონსულტაცია ქალაქის ექიმთან სოფლის დატოვების გარეშე გაევლოთ. ეს საკმაოდ ხელსაყრელი და ბიუჯეტურია ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ექიმის მიმართ სიყვარული და პატივისცემა იმდენად დიდი იყო, ამას აცრაზე მოსული ბავშვების მხიარული დამოკიდებულებაც ადასტურებდა.

პაციენტებთან მისასვლელი გზა რთული აღმოჩნდა. ხშირ შემთხვევაში ჭირდა იმის წარმოდგენა, რომ დანიშნულების ადგილზე მისვლა შესაძლებელი იქნებოდა.

ზემო კვატიაში რომ მივდიოდით, გზად ლამაზი ხედები იშლებოდა, ნისლი მთებს ფარავდა, მაგრამ აქა-იქ მთებზე მაინც მოჩანდა სახლები. პაციენტის სახლისკენ მიმავალი ვიწრო, ხეებითა და ნისლით შემოფარგლული გზა ნამდვილად ჯადოსნური აღმოჩნდა. გზად პაციენტის, ვალერის უფროსი შვილი სახლისკენ ფეხით მიმავალი შემოგვხვდა და ხუმრობით ედო ექიმს უთხრა: “რაღა უჭირს აბა მამაჩემს, თქვენს დანახვაზე გაბედნიერდება”. ფოტოკამერის ობიექტივში სახლის წინ მომლოდინე პაციენტები ჩნდებიან. ედო ექიმის თვალებში კი, პაციენტებთან კომუნიკაციისას ემპათიას ადვილად ამოიკითხავთ.

პაციენტების მონახულებისას ყველგან თითქმის ერთი კადრი იყო: შეშის ღუმელი და ზემოდან ადუღების პირას მისული რძე, რომელიც ოთახში დამახასიათებელ სუნს წარმოქმნიდა. ექიმის დანახვისას ფუსფუსი იმატებდა და ყოველი დამშვიდობება კიდევ უფრო ამყარებდა იმ თანაგრძნობას, რასაც ექიმი პაციენტის მიმართ გამოხატავდა. სოფლის ექიმები ცალსახად გმირები არიან, ისინი გაუვალ გზებზე ადამიანის სიცოცხლისთვის იბრძვიან.

ლორჯომი

ნინო გაგუა
მარიამ მამისაშვილი

> ფოტოკამერის ობიექტივში სხვადასხვა ასაკისა და დიაგნოზის პაციენტი ერთმანეთს ენაცვლებოდა

მზია ექიმი

მაღალმთიანი აჭარა, ნაძვნარში გახვეული ორსართულიანი ხის სახლები, მეჩეთები და ნისლიანი მთები. სოფელ ღორჯომში მცხოვრები ადამიანებისთვის ექიმი იმედის წყაროა, ექიმისა და პაციენტის ურთიერთობა კი - ხელოვნება. შეხვედრისას ცოტას ვნერვიულობდით, ათასი ფიქრი ენაცვლებოდა ერთმანეთს. პაციენტები ექიმების მოლოდინში იყვნენ, ჩვენი ფოტოკამერის ობიექტივი კი - მზია ექიმისკენ იყო მიმართული.

ძირითადად, სოფლის ექიმები თავად მიდიან პაციენტებთან. ხშირ შემთხვევაში, პაციენტამდე მისასვლელი გზა რთულია, მაგრამ ადგილზე მიღებული ემოციები აბათილებს გზის სირთულეს. ფანჯრების წინ მანქანის ხმაზე ფარდების მიღმა მდგარი პაციენტი ჩნდება. შეხვედრის სცენა გვეუცხოვა. მზია ექიმი პროფესიული საქმიანობის დაწყებამდე თანაზიარი ხდებოდა პაციენტის ავადმყოფობის მიღმა მომხდარი ამბებისა. ,,ბაბუ'' ასე მიმართავდა ექიმი პაციენტს, რაც მათ შორის ურთიერთობას უფრო შინაურულს ხდიდა. ვერ ამოგვეხსნა, როგორ იტევდა ამხელა დადებით ემოციას ექიმისა და პაციენტის კომუნიკაცია. თითების სწრაფი მოძრაობით კადრების აღბეჭდვას ვაგრძელებდით. მზია ექიმმა ფონენდოსკოპი მოიხსნა და პაციენტის დიაგნოზის გაჟღერება დაიწყო. ვხედავდით, როგორ არ აძლევდა ექიმი საკუთარ ემოციებს გავლენის მოხდენის საშუალებას და ჩვეულ რეჟიმში განაგრძობდა მუშაობას. დანიშნულების მიცემის პარალელურად ოთახში პაციენტის ოჯახის წევრების ფუსფუსი შეინიშნებოდა. ყოველწამიერად ცდილობდნენ ექიმის მიმართ ყურადღებისა და სიყვარულის გამოხატვას. ღუმელზე შემომდგარი ყავა დუღილს ამთავრებდა, ექიმი შემოთავაზებულ ყავაზე უარს ვერ ამბობდა, რადგან მას მხოლოდ ექიმად არ მიიჩნევდნენ, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პაციენტისთვის. განსაკუთრებული სიყვარული იგრძნობოდა კომუნიკაციაში.

დრო ცოტაა, მეორე პაციენტისკენ მივეშურებით, გზაში ფიქრი არ გვანებებს თავს და პარალელურად მეხსიერებაში ჩარჩენილი ფრაზები ყურის სიხშირეს არ ტოვებს: „გინახავთ ვინმე ესე ბედნიერი ელოდებოდეს ექიმს?“... ჩვენც მათ აზრზე ვართ და თანხმობის ნიშნად ფიქრშივე, ჩვენს თავს ვეთანხმებით: ჩვენს რეალობაში სოფლის ექიმი გმირია!

ფოტოკამერის ობიექტივში სხვადასხვა ასაკისა და დიაგნოზის პაციენტი ერთმანეთს ენაცვლებოდა. ჩვენ კი სვლას მზია ექიმთან ერთად განვაგრძობდით. მომლოდინე პაციენტი შიზოფრენიის დიაგნოზით იყო. შეხვედრამდე ბევრი ემოცია და ფიქრი ეჭიდავებოდა ერთმანეთს. არ ვიცოდით, რამდენად ექნებოდა უცხო ადამიანების მიმღებლობა და როგორი რეაქცია ექნებოდა მისი ამბის ფირზე აღსაბეჭდად. ვნერვიულობდით, წამის მეასედში ჩვენი შფოთვა ფერმკრთალდებოდა და ჩვენს წინ მდგარი კადრი დაუჯერებელი ხდებოდა. პაციენტს, რომელიც უარს ამბობდა საწოლიდან ადგომაზე, ექიმთან შეხვედრისას თვალები უბრწყინდებოდა და მის თვალებში იმედი - მზია ექიმი ჩნდებოდა.

დღეს ღამე ენაცვლება და ღორჯომის ცენტრში მდგარ ამბულატორიაში გამოსამშვიდობებლად ვიკრიბებით. მზია ექიმი თავის კაბინეტს გვათვალიერებინებს. საჩუქრების კუთხე იპყრობს ყურადღებას. სიმბოლურია, თუმცა დიდ სიყვარულს იტევს. თვალში გვხვდება ხისგან დამზადებული ყვავილი, წარწერით „მსოფლიოში საუკეთესო ექიმს“. ქვეყანას ხომ ადამიანები ქმნიან და სწორედ, ამ ხალხის გაცნობის, მათი ცხოვრების სტილის შეცნობისა და აღბეჭდვის საშუალება ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო გამოცდილება იყო. ყველაფერთან ერთად ვხედავდით იმას, რასაც ყოველთვის გვასწავლიან, ვაკვირდებოდით თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდათ ექიმებს პაციენტებთან და როგორ ზრუნავდნენ მათზე.

ღორჯომი მაღალმთიან აჭარაში, დამახასიათებელი არქიტექტურითა და ავთენტური აჭარული ყოფით გამორჩეული ადგილია. შთამბეჭდავია სოფლის ცენტრში, ერთმანეთთან მდგარი ხის ხუთ გუმბათოვანი მეჩეთი და ამბულატორია. აქ, სოფლის ექიმები მთავარი მოქმედი გმირები არიან, რომლებიც პაციენტამდე გრძელ, ცივ ზამთარშიც კი, გაუვალ გზებს გადიან.

მაია ექიმი

ჩვენი ფოტოკამერები მაია ექიმისა და მისი პაციენტების აღსაბეჭდად ემზადება. შეხვედრის ადგილი ცენტრში მდგარი ამბულატორიაა. მაია ექიმი სამედიცინო ნივთებით იღჭურვება და ვიწრო გზას მივუყვებით. ის, რაც ჩვენ შიშის ემოციას გვგვრიდა, მათთვის ყოველდღიურობა იყო. რთულია სოფლის გზებზე მანქანის მართვა თუ გამოცდილი მძღოლი არ ხარ.

ჩვენი მანქანა ყველა, უკვე ნანახი შენობისგან განსხვავებულ სახლთან ჩერდება და მისი მასპინძლებიც განსხვავებულად თბილი დამოკიდებულობით გამოირჩევიან. პაციენტი ასაკოვანი ქალია, რომელსაც პარკინსონის დაავადება აქვს. ექიმი პაციენტს მიმართულებას აძლევს, რომ სათანადოდ იმკურნალოს და მის მეზობლად ვინაცვლებთ. ეს პაციენტიც პარკინსონის დიაგნოზით, თუმცა უფრო მარტივი ფორმითაა. ემპათიის ზეიმი იყო, როდესაც ექიმისა და პაციენტის კომუნიკაციას ვუყურებდით და ჩვენი ფირი აჩქარებული ცვლიდა კადრს. მაია ექიმი რვა წელია, რაც სოფლის ექიმია და როგორც თვითონ ამბობს, ემსახურება ადგილობრივ მაცხოვრებლებს. გზა უცვლელია - სახლი, ამბულატორია და უკან. მომლოდინე პაციენტებს ნახავთ ამბულატორიის სივრცეში. ბავშვები აცრებისთვის ემზადებოდნენ, ხანში შესულები გადასხმისთვის. „გადასხმა; აცრა; შენ შემოგევლე წნევაც გამიზომე; ჩემ ქმარს შაქარი“ და ასე ენაცვლებოდა პაციენტების ხმები ერთმანეთს.

აქაური ყოფისთვის დამახასიათებელი ტრადიციის შესაბამისად, სტუმარი სახლში შესვლამდე ფეხსაცმელს გარეთ ტოვებს. პაციენტების მონახულებისას თითქმის ყველა მასპინძელი ცდილობდა ექიმს ფეხსაცმელი ზღურბლს მიღმა არ დაეტოვებინა. თვალით ნანახი სხვა განცდას აღძრავდა - ემოცია, თუ როგორ ელოდებოდნენ ექიმს და რა გზას გადიოდა ექიმი პაციენტამდე - დაუღალავი სიყვარული პროფესიის მიმართ და უშრეტი ენერგია ადამიანების უკეთესი ყოფისთვის. ამ ყველაფერს ზემო აჭარაში შეიგრძნობ და ამისთვის რამდენიმე საათიც კი საკმარისია, როდესაც სოფლის ექიმის საქმიანობის თანაზიარი ხდები.

როენა ექიმი

ბათუმიდან ოთხი საათის სავალზე, ხალხმრავლობას მოშორებული, მთებში ჩაფლული ღორჯომი მდებარეობს. გზაში პეიზაჟები ენაცვლება ერთმანეთს და ობიექტივის არეალში ხის ხუთ გუმბათოვანი მეჩეთი ჩნდება თავისი ვრცელი სალოცავი დარბაზით. ახალი ემოციების, თავგადასავლების მისაღებად როენა ექიმთან ერთად პაციენტების მოსანახულებლად ვემზადებით.

შეხვედრის ადგილი კვლავ სოფლის ცენტრში მდგარი ამბულატორია იყო. ამჯერად თანამეგზურად ექთანი ალექსანდრეც გვყავდა. ყველა საჭირო ნივთით აღჭურვილები პაციენტებისკენ გავემართეთ. გზა კიდევ უფრო რთულდებოდა, რაც ექიმსაც აშინებდა, თუმცა შიში რა მოსატანია, როდესაც გაუვალი გზის ბოლოში მდგარ სახლში იმედით ანთებული მომლოდინე პაციენტები გხვდებიან. შინ ორი მოხუცებული დაგვხვდა. ცოლ-ქმარი ყოფილან. მოხუც კაცს სიმსივნე და გლაუკომა ჰქონდა, რის გამოც მხედველობა დაჰკარგოდა. მას მოხუცი ცოლი უვლიდა, რომელსაც წნევა აწუხებდა. მოხუცებული ადამიანების სხეულში ახალგაზრდა გოგო-ბიჭს ვხედავდით. როენა ექიმის დანახვაზე კიდევ უფრო გამოცოცხლდნენ და მათი თვალები იმედით აინთო. პარალელურად როენას ტელეფონი არ ჩერდებოდა, ზოგი სატელეფონო კონსულტაციას გადიოდა და ზოგიც, მასთან შეხვედრის დროს ათანხმებდა. ყველა პაციენტთან დამშვიდობებისას ფეხები უკან გვრჩებოდა. ემოციებით დატვირთულები და ფიქრების კორიანტელში გაბმულები ბედნიერად ვტოვებდით პაციენტების ჭიშკარს. აქ განცდილი ემოცია და სოფლის ექიმის სიყვარული რთულია შეადარო რამე სხვას. მივხვდით, რომ ექიმობა არ არის უბრალო პროფესია, ეს ბევრად მეტია. მოგზაურობის დასასრულს გვინდოდა ეს ადამიანები მარტო ჩვენ კი არა, მთელ ქვეყანას ენახა თუ როგორი გულით, სიკეთით და სიყვარულით ემსახურებიან თავიანთ პროფესიას.

სოფლად მცხოვრებ ექიმებთან ერთად გატარებული დღეები ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთ საუკეთესო პერიოდად დარჩება.

სამ, ერთმანეთისგან განსხვავებულ ექიმთან გავატარეთ დღეები, თუმცა სამივეს მთავარი - ადამიანების და პროფესიის სიყვარული აერთიანებდა.

ხულო

მარიამ ჯორბენაძე
ირინკა ისიანი

> ხულო მართლმადიდებელი ქრისტიანებითა და მუსლიმებით მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტია. ხშირად ისმოდა ლოცვის ხმა მეჩეთიდან და ბევრჯერ დაგვინახავს როგორ დაუწყიათ ლოცვა მკვიდრ მოსახლეებს.

შორენა და თამილა
ექიმები

მედიცინასა და ხელოვნებას საერთო მიზანი აქვს: ძიება და დანახვა იმის, რისი პოვნაც მარტივი არ არის, სწრაფვა იდეალისკენ და სრულყოფილებისაკენ. ამის გაგება და გააზრება მაშინ შევძელით, როდესაც მაღალმთიანი აჭარის გზას დავადექით სოფლის ექიმების ფირზე აღსაბეჭდად.

ხულო მართლმადიდებელი ქრისტიანებითა და მუსლიმებით მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტია. ხშირად ისმოდა ლოცვის ხმა მეჩეთიდან და ბევრჯერ დაგვინახავს როგორ დაუწყიათ ლოცვა მკვიდრ მოსახლეებს. განსხვავებულმა რელიგიებმა მრავალფეროვანი კულტურისა და წესების დამკვიდრებისთვის საჭირო ხელსაყრელი გარემო შექმნა. ამ მრავალფეროვანმა გარემომ ადგილობრივ მოსახლეობას ერთმანეთის ადათისა და ტრადიციების პატივისცემაც განუმტკიცა.

სოფლის ექიმი ნდობით აღჭურვილი პირია, რომელიც დიდი პასუხისმგებლობის გრძნობითა და მოტივაციით ეხმარება ადამიანებს. ხულოში სულ რვა სოფლის ექიმია, თუმცა ჩვენ, შორენა და თამილა ექიმის ამბავს გაგიზიარებთ.

ხულოს ცენტრიდან ამბულატორიაში მისასვლელად, დაახლოებით, 50 წუთი დაგვჭირდა. იქ ორი ექთანი დაგვხვდა, რომლებიც სოფლის ექიმებს აწვდიდნენ ინფორმაციას ამბულატორიაში მომსვლელ პაციენტთა რაოდენობის შესახებ და ასევე, რომელ პაციენტებთან სად უნდა მისულიყვნენ სახლში.

ექიმებისთვის სულ ორი ოთახი იყო განკუთვნილი, თუმცა ცივი, სუსხიანი ამინდების დროს, ერთი შეშის გამათბობლის პირობებში, ერთ ოთახში მუშაობდნენ. თამილა და შორენა ექიმი სამუშაო ცვლაშიც ერთად იყვნენ, თუმცა მძიმე პაციენტების მოსანახულებლად ცალ-ცალკე დადიოდნენ. დაყოფა უმეტესად სოფლების მიხედვით ხდებოდა.

შორენა 43 წლის, პროფესიით ოჯახის ექიმი გახლავთ. 18 წელია ყველგან - უბანზე, სასწრაფოში და კლინიკაში მუშაობს. აქ, პაციენტის და ექიმის კომუნიკაცია მაღალ ხარისხშია აყვანილი. რთულია აღწერო რა სითბოთი და სიყვარულით ხვდებიან მათთან სახლში მისულ "მხსნელს" პაციენტები, როგორი პატივისცემით შესცინებენ მას. არ გეგონოთ, რომ კომუნიკაცია მხოლოდ სიმპტომების განხილვით შემოიფარგლება; აქ ყველა ამბის თანაზიარი ხდები.

თითების სწრაფი მოძრაობით ვცდილობთ, რომ ყველა კადრი ფირზე დავიტანოთ. შიგადაშიგ შორენა ექიმი ისეთ ამბებს გვიყვება, რომ დაჯერება ცოტა ჭირს, მაგრამ ეს რეალობაა. თავისი ორსული პაციენტი იქაური ზამთრის კლიმატიდან და არასახარბიელო გზებიდან გამომდინარე ციგაზე დაუბამს წებოვანი ლენტით და ამგვარად, საკუთარი ძალებით წამოუყვანია კლინიკამდე. ვინმეს გჯერათ ეს ისტორია? ნუთუ შესაძლებელია ღამე, დათოვლილ გზაზე კილომეტრები ასე გაიარო, მაშინ როდესაც, მოსახლეობის უმეტესობას მშვიდად და

თბილად სძინავს თავიანთ სახლებში, შენ კი ახალი სიცოცხლის დაბადებისთვის შეუპოვრად იბრძვი, თუმცა "ეს ხულოა, სხვანაირად ვერც იქნება, აქაურ წესებს უნდა მოერგო"- ამბობს შორენა ექიმი.

თამილა თავშეკავებული, მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანი გახლდათ. მისი თბილი და ღია ბუნება პაციენტებთან ნდობის მოპოვებაში ეხმარებოდა. გასცემდა ცოდნას, სიყვარულს, ენერგიასა და გამოცდილებას.

ადგილობრივ პაციენტებს ექიმების მიმართ განსხვავებული, თბილი დამოკიდებულება და გამორჩეული ურთიერთობები ჰქონდათ. კვირაში ერთხელ დათქმულ დროს ერთმანეთს ხვდებოდნენ. ხშირად ამბობდნენ - „ჩემი გოგო მოსულა"; ,,ჩემი დახატული გოგო''... ამ ადამიანებისთვის ექიმები იყვნენ უფრო მეტი, ვიდრე მკურნალები. „ჩვენ ერთი ოჯახი ვართ, ჩვენს შორის ზღვარი არ არსებობს'' - ამბობდა თამილა ექიმი.

„ჩემი გოგო მოსულა“;
„ჩემი დახატული გოგო”...
ამ ადამიანებისთვის ექიმები
იყვნენ უფრო მეტი, ვიდრე
მკურნალები.

გზაზე არსებული სირთულეების გარდა, პრობლემას სამედიცინო აღჭურვილობების დეფიციტიც ქმნიდა. ექიმებს ჰქონდათ ინვენტარი ტრავმული პაციენტებისთვის, შოკისა და სტაბილური პაციენტებისთვის. ამ ხელსაწყოებით შესაძლებელია ადამიანების მკურნალობა, თუმცა არა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში, ამ დროს საჭიროა ჰოსპიტალიზაცია, სხვა, კარგად აღჭურვილ სამედიცინო დაწესებულებაში. სოფლის ექიმების პროფესიული განვითარების მიღმა მათი გამოცდილება, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და პიროვნული თვისებები იყო ის, რისი საშუალებითაც უმკლავდებოდნენ თავიანთ მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო საქმეს.

მაღალმთიან აჭარაში მოგზაურობა ჩვენთვის ემოციურად ძალიან დატვირთული და მრავალფეროვანი იყო. ყოველთვის ვიცოდით, თუ რატომ გვინდოდა ვყოფილიყავით ექიმები, ახლა კი, კარგად ვხვდებით სად ვართ უფრო საჭირო.

ფოტო: გურამ მურადოვი

ლელი **ბლაგონრავოვა**
ფოტოგრაფი

სოფლის **ექიმის** ექვსი დღე

მედიცინისა და ფოტოგრაფიის საერთო კავშირი ნდობაა. მეცნიერება გვეხმარება გავიგოთ ადამიანის სხეულისა და გონების ფუნდამენტური მოქმედებები, მაგრამ რომ გავიგოთ ისეთი რამ, როგორიცაა სიყვარული, სიძულვილი , ბრძოლა, გმირობა და იმედი, მეცნიერების მიღმა გახედვა გვიწევს, ფოტოაპარატით ხელში. სწორედ, ხელოვნება იძლევა უნიკალურ ფანჯარას საკუთარ თავსა და ადამიანის მდგომარეობას შორის კავშირზე. ეს ნდობა გვაძლევს სარგებელს და ასე აღიბეჭდა მაღალმთიანი აჭარის სოფლის ექიმების ყოველდღიურობა მომავალი ექიმების ფირზე.

> პეტრე შოთაძის თბილისის სამედიცინო აკადემიის მენეჯმენტმა მხარი დაუჭირა ამ პროექტს და ასე გადაკვეთა ფოტოგრაფია და მედიცინა ერთმანეთს

საიდან გაჩნდა იდეა, რომ პროექტი „სოფლის ექიმის ექვსი დღე“ გაგეკეთებინათ?

თითქმის ორი ათეული წელია რაც სტუდენტებს ფოტოგრაფიას ვასწავლი და ეს იდეაც სწორედ, იმ პროცესთან მისამართდება, როდესაც მათთვის სასწავლო მასალას ვამზადებდი. კარგად მახსოვს, როგორ გადავაწყდი ცნობილი ფოტოდოკუმენტალისტის უილიამ ევგენი სმიტი ნამუშევარს „ სოფლის ექიმი“, რომელიც მოგვითხრობს ისტორიას კრემლინგელი (კოლორადო,აშშ) ექიმის ერნესტ კერიანის ყოველდღიურობაზე, მის ჭიდილზე სნეულებათა წინააღმდეგ, წარმატება–წარუმატებლობასა და ზოგადად- გმირობაზე. ეს პროექტი სმიტმა 1948 წელს გააკეთა. ფოტოებმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. სწორედ, ეს იყო მთავარი ისპირაცია,

რომ ჩვენს რეალობაშიც გაკეთებულიყო სოფლის ექიმის ამბავის ფირზე დატანა. საკმაოდ ბევრი წელი მწიფდებოდა ეს იდეა, რომ პროექტთან ქცეულიყო. პეტრე შოთაძის თბილისის სამედიცინო აკადემიის მენეჯმენტმა მხარი დაუჭირა ამ პროექტს და ასე გადაკვეთა ფოტოგრაფია და მედიცინა ერთმანეთს. ყველაზე ემოციური ამ ამბავში ჩემთვის ის არის, რომ პროექტის მთავარი შემოქმედები აკადემიის სტუდენტები არიან, რომლებმაც თავისივე მომავალი კოლეგების ყოველდღიური საქმიანობა ფირზე დაიტანეს. და ასე , ამ პროექტით ორი პროფესიის ერთმანეთში შერწყმა მოხდა.

როგორ იწყებდა პროექტი პირველი ნაბიჯების გადადგმას?

საინტერესო იყო ის კვლევა, რომელიც პროექტის ოფიციალურად დაწყებამდე ჩავატარე. გასულ ზაფხულს თავად ჩავედი მაღალმთიან აჭარაში, ჩემი მეგობრების დახმარებით შევხვდი სოფლის ექიმებს და გადავიღე ის ექიმები: რეზო ტაკიძე, გიზო გორგილაძე, ანზორ ბროლაძე, რომლებმაც დიდი დახმარება გამიწიეს, რომ სოფლის ექიმის 6 დღე სტუდენტებს გადაეღოთ.

პირველ რიგში იყო ამ იდეის მხარდაჭერა აკადემიის მხრიდან და პროექტში მოხვდნენ ის სტუდენტები, რომელსაც უნდოდათ, რომ ფოტოგრფია ესწავლათ. სანამ ჩავიდოდით მაღალმთიან აჭარაში და სტუდენტები დაიწყებდნენ ამ პროექტზე მუშაობას, მანამდე სამთვიანი სასწავლო კურსი გავატარეთ. ამ სტუდენტებმა ისწავლეს ფოტოგრაფია და ამბის წერის ტექნოლოგია, რათა აუდიტორიამდე მიეტანათ სოფლის ექიმის ამბავი.

და მაინც, რატომ შეარჩიეთ პროექტის განხორციელების ადგილად მაღალმთიანი აჭარა?

მაღალმთიანი აჭარა ჩემთვის ძალიან ნაცნობი და ახლობელი ადგილია. როდესაც პროექტს ახორციელებ ყველა დეტალი და მოლოდინი უნდა გქონდეს გათვლილი, მათ შორის რისკებიც. შესაბამისად, პირველი ნაბიჯებისთვის მინდოდა ნაცნობ გარემოში ვყოფილიყავი, რომ პროექტი ისეთი გამოსულიყო, როგორიც ჩავიფიქრეთ. პროექტის განხორციელების შემდეგ, დღეს, აქ და ახლა, ამ რეალობიდან თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს პროექტი მარტო მაღალმთიან აჭარაში კი არა, ყველა რეგიონში გამოვა.

პროექტის განხორციელებამ ბევრი დეტალი დაგანახათ და ასევე, დაგაფიქრათ მისი ახლებულად აღქმადობაში. როგორ ფიქრობთ, რა საერთო აქვს ექიმისა და ფოტოგრაფის პროფესიებს?

პროექტის კეთების დროს აღმოჩნდა, რომ ფოტოგრაფებსა და ექიმებს ძალიან ბევრი საერთო გვაქვს. პირველი და უმნიშვნელოვანესი ნდობის მოპოვებაა, რაც პირდაპირ აისახება შედეგზე. როგორც ექიმს ვენდობით ისევე, აუცილებელია ფოტოგრაფის ნდობა, რადგან თუ ნდობა არ არის, არფერი არ გამოდის. ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანია მოსმენა, დაკვირვება და ნდობის მოპოვება, რაც მნიშვნელოვნად აისახება შედეგზე.

> პროექტის კეთების დროს აღმოჩნდა, რომ ფოტოგრაფებსა და ექიმებს ძალიან ბევრი საერთო გვაქვს.

რა იყო მუშაობის პროცესში მთავარი გამოწვევა ?

პროექტი თავის მხრივ გამოწვევებთან ერთად, ძალიან საინტერესო იყო. ფრთხილად უნდა მოვკიდებოდით ყველა დეტალს, რომ ადგილზე ჩასულ სტუდენტისთვის აგვეხსნა რა როგორ უნდა გადაგვეღო. მაინც მთავარ გამოწვევად ვთვლი იმას, რომ ამხელა შრომის შემდეგ და უზარმაზარი მასალის გაკეთების შედეგად, არცერთი ფოტო არ დაჩაგრულიყო. ვფიქრობ გამოწვევაც შესაძლებლობად ვაქციეთ და ფოტოები ფართო აუდიტორიამდე მივიტანეთ.

და ბოლოს, შედგა თუ არა ის კავშირი,რაც პროექტის დასაწყისში ჩაიფიქრეთ?

დღეს, ძალიან თამამად, ამაყად და ხმამაღმა შემიძლია გითხრათ,რომ პროექტი იმაზე მეტად შედგა, ვიდრე ეს დაგეგმილი იყო. კიდევ უფრო დიდი რაკურსით გამოჩნდა ამ პროექტის მაშტაბურობა და სიდიადე. სვლა სოფლის ექიმების მხარდასაჭერად გაგრძელდება. ჯერ კიდევ ბევრი სხვადასხვა რეგიონის სოფლის ექიმის ამბავი გვაქვს აუდიტორიამდე მისატანი.

www.tma.edu.ge